თამაში « DOBBLE

დღეს მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენთვის, ყველასათვის ცნობილი თამაში « **DOBBLE** » და მისი გამოყენება ფრანგული ენის გაკვეთილზე.

თემატურად კი ცხოველების « **DOBBLE** »

ენობრივი დონე: A1-A2

სამიზნე ჯგუფი : ბავშვები და მოზარდები

ხანგრძლივობა : 45 წუთი

ძირითადი, ენობრივი მიზანი : ლექსიკის დასწავლა / გამდიდრება

ზოგადი მიზანი:

- შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა;
- ზეპირმეტყველების განვითარების ხელშეწყობა ;
- სიტყვების წარმოთქმისა და დამახსოვრების ხელშეწყობა.

რესურსი :

- თამაში « DOBBLE » -ის თემატური ბარათები
- დაფა სიტყვების დასაწერად

მიმდინარეობა :

პირველი ეტაპი : 15 წთ

პირველი აქტივობა:

მიზანი: სათამაშო ბარათებზე არსებული სიტყვების გახსენება / გაცნობა / დამახსოვრება.

- მოსწავლეები იხსენებენ ბარათზე მოცემულ სიტყვას, არ ცოდნის შემთხვევაში მასწავლებელი ასახელებს, მოსწავლეები ისმენენ და იმახსოვრებენ.

მეორე ეტაპი : თამაშის დაწყება 25 წთ

პირველი აქტივობა.

- შექმენით პატარა, 3-4 კაციანი ჯგუფები;
- ჯგუფებში გადაანაწილეთ სათამაშო ბარათები;
- მოსწავლეები ჯგუფებში იხსენებენ და ასახელებენ სიტყვებს (C'est le chat, C'est le chien და ა.შ.)

მეორე აქტივობა.

- მოსწავლეები ეცნობიან თამაშის წესებს და თამაშობენ.

ერთი ბარათი დევს მაგიდაზე და შემდეგ მოსწავლე ამოიცნობს მაგიდაზე მოცემულ ბარათსა და მის ბარათს შორის, ასახელებს ამ სიტყვას და აგებს მარტივს წინადადებას. მაგალითად, c'est le chat, le chat est noir.

დამატებითი ინფორმაცია / რჩევა : ეს გახლავთ ერთ-ერთ ვარიანტი « DOBBLE » თამაშის, ერთ-ერთი თემატური ვარიანტი, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია მიზნის შესაბამისად. ასევე, შესაძლებელია ამ ბარათების დამზადება, და დამზადების პროცესში მოსწავლეების ჩართვაც. და კიდევ ერთი, თუ კლასი მრავალრიცხოვანია, მაშინ შესაძლებელია მაგიდაზე დადების ნაცვლად, პროექტორის საშუალებით ვაჩვენოთ ძირითად ბარათები და ისე შეძლოს მოსწავლეებმა თამაში.